სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/07

ქ. თბილისი 4 მარტი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში უძრავი ქონებების იჯარით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2025 წლის 26 თებერვლის №0000209809 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 4 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონებების (მდებარე: ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ.№77), 4 (ოთხი) წლის ვადით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ:

ა) მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე მდებარე 535 კვ/მ ფართი (ს/კ 01.10.13.023.181) და მიმდებარედ არსებული 464,2 კვ/მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.13.023.133);

ბ) მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე მდებარე 405.86 კვ.მ. (ანტრესოლი 100 კვ.მ) ფართი (ს/კ 01.10.13.023.181) და 311.7 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.13.023.133);

გ) მე-4 სასწავლო კორპუსის ცოკოლის სართულზე მდებარე 268.3 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.10.13.023.181) და 270.3 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.13.023.133).

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**